თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2913428

ნომერი: AR1448074

თარიღი : 11.10.2016

გაცემის თარიღი : 26.10.2016

გაცნობის თარიღი : 26.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი IIIა , ქუჩა რაფიელ დვალი , N 11ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ჩიკვაიძე პ/ნ 01015022344
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 14 ბ. 22

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1448074 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.19.39.010.053 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე თქვენი თანხმობის გარეშე ნებისმიერი საკითხის განხილვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 12 ოქტომბერს #AR1447639 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ელგუჯა ბარათაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.19.39.010.053 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #2904455 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.19.39.010.053 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.